

შპს ნუტრიმაქსი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. ჯგუფი და მისი საქმიანობა.....	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. ძირითადი საშუალებები.....	17
4. არამატერიალური აქტივები.....	18
5. გაცემული სესხები.....	19
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	19
7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	19
8. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	20
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	20
10. ნასესხები საშუალებები.....	20
11. გადავადებული შემოსავალი	22
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	22
13. შემოსავლები	22
14. გაყიდვების თვითღირებულება.....	23
15. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	23
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
17. ფინანსური ხარჯი (ნეტო).....	24
18. ფინანსური ინსტრუმენტები	24
19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები.....	24
20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	27
მმართველობითი ანგარიში.....	29
1. საქმიანობის განვითარების შედეგების და მდგომარეობის შესახებ.....	29
2. საწარმოო სიმძლავრეები.....	29
3. ფილიალების საქმიანობა.	30
4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები.....	30
5. კვლევები და განვითარება.	31
6. შვილობილი კომპანია	32
7. საკუთარი აქციების შეძენა.....	32
8. განვითარების გეგმები.....	32
9. დასაქმებულთა რაოდენობა.....	32
10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	33
11. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ვის: შპს ნუტრიმაქსის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ნუტრიმაქსის (შემდგომში, ტექსტში, კომპანიის) და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში ტექსტში ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან; (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოცემულია აუდიტის დასკვნის შემდეგ მე 7 – 27 გვერდზე).

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ((შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა რომ, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემდეგ შენიშვნაზე:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19-ე შენიშვნაზე (გათვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები), რომლებშიც მოცემულია დამფუძნებლისა და დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების ფარგლებში ჯგუფის მიერ, როგორც თანამსესხებლის, თავდებისა (სოლიდარული მოვალის) და დამგირავებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დეტალები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მიერ 2023 წლის 4 აგვისტოს დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკონტროლებს წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 27-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და, გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის

გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებით ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) ჯგუფი პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2023 წლის 4 აგვისტოს დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 27-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2023 წლის 4 აგვისტო თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) ჯგუფი პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2023 წლის 4 აგვისტოს დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 27-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2023 წლის 4 აგვისტო თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	20,698	9,842
არამატერიალური აქტივები	4	29	47
ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის და მშენებლობისათვის გადახდილი ავანსები		119	744
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,846	10,633
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	11,542	7,793
გაცემული სესხები	5	214	576
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	7	3,218	3,282
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	8	1,338	1,050
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	705	266
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,017	12,967
სულ აქტივები		37,863	23,600
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		12,241	7,109
სულ საკუთარი კაპიტალი		12,241	7,109
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	10,976	2,648
გადავადებული შემოსავალი	11	875	902
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,851	3,550
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	9,512	10,295
გადავადებული შემოსავალი	11	27	27
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	4,232	2,619
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,771	12,941
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		37,863	23,600

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 4 აგვისტოს.

ბნ ბექა ბექაია, კომპანიის დირექტორი

ქნ ეთერ მოდრეკილაძე, კომპანიის ფინანსური დირექტორი

შპს“ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	91,905	57,176
გაყიდვების თვითღირებულება	14	(76,619)	(48,623)
საერთო მოგება		15,286	8,553
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	15	(3,354)	(1,816)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(4,488)	(2,912)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	17	(333)	(196)
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)		(80)	68
მიმდინარე წლის მოგება		7,031	3,697

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 4 აგვისტოს.

ბნ ბექა ბექაია, კომპანიის დირექტორი

ქნ ეთერ მოდრეკილაძე, კომპანიის ფინანსური დირექტორი

შპს“ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	100,888	62,689
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(94,935)	(62,633)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,953	56
მიღებული პროცენტი	21	1
გადახდილი პროცენტი	(2,180)	(998)
საოპერაციო საქმიანობით (გახარჯული)/ წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	3,794	(941)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(10,332)	(1,811)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	4	23
დაბრუნებული სესხები	726	203
გაცემული სესხები	(380)	(597)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(9,982)	(2,182)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის გადახდა	(33,964)	(40,337)
სესხის მიღება	41,960	44,478
გაცემული დივიდენდები	(1,881)	(993)
საგრანტო შემოსავლის მიღება	849	136
საფინანსო საქმიანობისთვის მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	6,964	3,284
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	776	161
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	266	138
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(337)	(33)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	705	266

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 4 აგვისტოს.

ბნ ბექა ბექაია, კომპანიის დირექტორი

ქნ ეთერ მოდრეკილაძე, კომპანიის ფინანსური დირექტორი

შპს “ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	4,582	4,582
გაცემული დივიდენდები	-	(1,170)	(1,170)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,697	3,697
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	-	7,109	7,109
გაცემული დივიდენდები	-	(1,899)	(1,899)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,031	7,031
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	12,241	12,241

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
 დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 4 აგვისტოს.

ბნ ბექა ბექაია, კომპანიის დირექტორი

ქნ ეთერ მოდრეკილაძე, კომპანიის ფინანსური დირექტორი


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	20,698	9,842
არამატერიალური აქტივები	4	29	47
ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის და მშენებლობისათვის გადახდილი ავანსები		119	744
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,846	10,633
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	11,542	7,793
გაცემული სესხები	5	214	576
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	7	3,218	3,282
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	8	1,338	1,050
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	705	266
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,017	12,967
სულ აქტივები		37,863	23,600
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		12,241	7,109
სულ საკუთარი კაპიტალი		12,241	7,109
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	10,976	2,648
გადავადებული შემოსავალი	11	875	902
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,851	3,550
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	9,512	10,295
გადავადებული შემოსავალი	11	27	27
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	4,232	2,619
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,771	12,941
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		37,863	23,600

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 4 აგვისტოს.

ბნ ბეჟა ბეჟაია, კომპანიის დირექტორი

ქნ ეთერ მოდრეკილაძე, კომპანიის ფინანსური დირექტორი

შპს "ნუტრიმაქსი" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	91,905	57,176
გაყიდვების თვითღირებულება	14	(76,619)	(48,623)
საერთო მოგება		15,286	8,553
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	15	(3,354)	(1,816)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(4,488)	(2,912)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	17	(333)	(196)
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)		(80)	68
მიმდინარე წლის მოგება		7,031	3,697

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 4 აგვისტოს.

ბნ ბექა ბექაია, კომპანიის დირექტორი

ქნ ეთერ მოდრეკილაძე, კომპანიის ფინანსური დირექტორი


კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	100,888	62,689
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(94,935)	(62,633)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,953	56
მიღებული პროცენტი	21	1
გადახდილი პროცენტი	(2,180)	(998)
საოპერაციო საქმიანობით (გახარჯული)/ წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	3,794	(941)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(10,332)	(1,811)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	4	23
დაბრუნებული სესხები	726	203
გაცემული სესხები	(380)	(597)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(9,982)	(2,182)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის გადახდა	(33,964)	(40,337)
სესხის მიღება	41,960	44,478
გაცემული დივიდენდები	(1,881)	(993)
საგრანტო შემოსავლის მიღება	849	136
საფინანსო საქმიანობისთვის მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	6,964	3,284
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	776	161
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	266	138
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(337)	(33)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	705	266

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 4 აგვისტოს.

ბნ ბექა ბექია, კომპანიის დირექტორი

ქნ ეთერ მოდრეკილაძე, კომპანიის ფინანსური დირექტორი

შპს "ნუტრიმაქსი" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	4,582	4,582
გაცემული დივიდენდები	-	(1,170)	(1,170)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,697	3,697
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	-	7,109	7,109
გაცემული დივიდენდები	-	(1,899)	(1,899)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,031	7,031
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	12,241	12,241

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
 დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 4 აგვისტოს.

ბნ ბექა ბექაია, კომპანიის დირექტორი

ქნ ეთერ მოდრეკილაძე, კომპანიის ფინანსური დირექტორი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ნუტრიმაქსი“, ყოფილი შპს აგრო თრეიდიგ ჯორჯია (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2008 წლის 8 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიამ 2015 წლის ნოემბერში შეიცვალა სახელი. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206330709. კომპანია მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ლევან ლოღობერიძის 67ბ, თბილისი, საქართველო. კომპანიის დირექტორია ბექა ბექაია.

კომპანიამ 2021 წლის 4 აგვისტოს დაარსა მისი ერთად-ერთი შვილობილი კომპანია შპს ნუტრიმაქს პეტფუდი 100 პროცენტის წილობრივი მონაწილეობით. შპს ნუტრიმაქს პეტფუდი არის განვითარების ეტაპზე მყოფი კომპანია, რომელმაც მომავალში უნდა აწარმოოს კომპანიონი ცხოველებისთვის საკვები.

კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის (ერთად ჯგუფი) მთავარი საქმიანობაა შინაური ფრინველებისა და ცხოველების, ასევე თევზის საკვებისა და საკვები დანამატების წარმოება და გაყიდვა.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის ჯგუფის დამფუძნებლები და საწესდებო კაპიტალის მფლობელები არიან:

	წილი 31.12.2022- სთვის	წილი 31.12.2021- სთვის
ბექა ბექაია (01011022232)	30.40%	30.40%
ბესიკ ტოგონიძე (01025001997)	-	33.30%
ხათუნა ლიპარტელიანი (01008032822)	33.30%	33.30%
სააქციო საზოგადოება სინერჯი კაპიტალი (405265797)	3.00%	3.00%
შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგი (404612665)	33.30%	-

შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგის მფლობელები არიან ბექა ბექაია და ხათუნა ლიპარტელიანი 50-50% იანი გადანაწილებით 31.12.2022 სთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 კონსოლიდაცია

შვილობილი არის ყველა კომპანია რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს.

შვილობილი კომპანია სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან. სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკა შეიცვალა ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

2.3 შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღე-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.4 წარდგენის ვალუტა

ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრის	3.0976	3.5040
2022 წლის 31 დეკემბრის	2.7020	2.8844

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაყიდვებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10, 20, 40
ელევატორი	40
მანქანა-დანადგარები	2-8, 10, 15, 17, 19, 20
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8, 10, 15, 20
სატრანსპორტო საშუალებები	6, 7, 10

2.6 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 5, 7 და 10 წლის გაანგარიშებით.

2.7 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები, რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და, ასევე, ის აქტივები, რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის, არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველიურ ტესტირებას. ეს აქტივები, რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას, ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვების გაუქმების მიზნით.

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღებად ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

2.11 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის პერიოდში.

2.12 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

2.13 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება

ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.14 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის ჯგუფსაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.17 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონიერულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

თავდებობა და გირავნობა დაკავშირებული მხარის საბანკო სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში.

ჯგუფი წარმოადგენს თავდებს (სოლიდარულ მოვალეს) და დამგირავებელს დაკავშირებული კომპანიის საბანკო სესხებზე. გენერალური ხელშეკრულებით კრედიტის ერთიანი ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს, არის 3 მილიონი აშშ დოლარი. გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში საბანკო კრედიტი მიღებული აქვს დაკავშირებულ კომპანიას. ქვემოთ მოცემულია ამ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში დაკავშირებული კომპანიის მიერ აღებული სესხების ჯამური ნაშთები:

	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხები	351	535

ამ სესხების ფარგლებში ჯგუფს დაგირავებული აქვს აქტივები. ამ აქტივებთან დაკავშირებული დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 3 ში.

გარდა ამისა უზრუნველყოფილია ჯგუფის დედა კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის პირადი აქტივები.

ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, ჯგუფიდან არ მოხდება მომავალში ფულადი ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული კომპანია დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემული სესხის თანხებს ან მისი აქტივები საკმარისი იქნება ბანკის ვალდებულებების გასტუმრებისათვის. ამ მიზეზთა გამო წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები. ისე როგორც ასახულია ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების ამსახველ ახსნა-განმარტებით შენიშვნაში, კომპანიამ შეწყვიტა საქმიანობა 2023 წელს.

თანამსესხებლობა (სოლიდარული მოვალეობა) დამფუძნებლის საბანკო სესხის უზრუნველყოფის ფარგლებში.

2022 წლის 20 მაისს შპს ნუტრიმაქსის 33.3 % წილის მფლობელი გადხა შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგი. წილის შესყიდვის ოპერაცია დაფინანსდა სს ბაზის ბანკისგან აღებული სესხით. სესხის თანამსესხებლები არიან შპს ნუტრიმაქსი და შპს

ნუტრიმაქს ჰოლდინგი. სესხის დაფარვის ვადა არის 2026 წლის 19 მაისი. ეს სესხი არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ სესხს ემსახურება შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგი და ამ სესხის მიმდინარე ნაშთი 31.12.2022 სთვის არის 1,415.

ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგი დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემული სესხის თანხებს და ჯგუფიდან მიღებული დივიდენდები ამისთვის საკმარისი იქნება, შესაბამისად ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, ჯგუფიდან არ მოხდება მომავალში სხვა სახით ფულადი ან ეკონომიკური სარგებლის გასვლა. ამ მიზეზთა გამო წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

ეს სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის აქტივებით, რომელთა დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 3 - ში და ასევე უზრუნველყოფაში ჩადებულია შპს ნუტრიმაქსის დამფუძნებლების შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგის, ბექა ბექიას და ხათუნა ლიპარტელიანის წილები შპს ნუტრიმაქსის საწესდებო კაპიტალში.

საექვო ვალების რეზერვი. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორი აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. მონაცემები. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 7).

შპს “ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობა	ელევატო- რი	მანქანა- დანადგარ- ები	საოფისე აღჭურვი- ლობა, ავეჯი და სხვა	სატრანსპორ- ტო საშუალებები	დასადგმელი მოწყობილობ- ები/დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
31.12.2020	3,814	1,024	5,370	463	159	177	11,007
შემოსვლა - რეკლასი	470	-	389	202	185	69	1,315
გასვლა	-	-	(5)	(24)	(65)	-	(94)
31.12.2021	4,284	1,024	5,754	641	279	246	12,228
შემოსვლა	9	-	1,191	360	24	9,995	11,579
რეკლასი	-	-	113	37	-	(150)	-
გასვლა	-	-	(6)	(9)	-	(6)	(21)
31.12.2022	4,293	1,024	7,052	1,029	303	10,085	23,786
ცვეთა							
31.12.2020	388	129	1,042	203	86	-	1,848
პერიოდის ცვეთა	86	26	366	81	36	-	595
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	(3)	(2)	(52)	-	(57)
31.12.2021	474	155	1,405	282	70	-	2,386
პერიოდის ცვეთა	90	26	401	148	45	-	710
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	(3)	(5)	-	-	(8)
31.12.2022	564	181	1,803	425	115	-	3,088
31.12.2020	3,426	895	4,328	260	73	177	9,159
31.12.2021	3,810	869	4,349	359	209	246	9,842
31.12.2022	3,729	843	5,249	604	188	10,085	20,698

შპს “ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფის მიერ აღებულ საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით შემდეგი აქტივები ჩადებულია უზრუნველყოფაში იპოთეკისა და გირავნობის სახით, სხვა დამატებითი დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10 ში:

	მიწა და შენობა- ნაგებობა	ელევატ ორი	მანქანა - დანადგარ ები	საოფისე აღჭურვი ლობა	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	დასადგმელი მოწყობილობები/ დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება:							
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,426	895	3,069	90	14	-	7,494
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,367	869	3,240	55	10	-	7,541
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,729	843	3,805	179	6	9,723	18,285

ჯგუფის მანქანა დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები მოიცავს აქტივებს, რომელსაც ჯგუფი ფლობს ფინანსური იჯარის კონტრაქტის ფარგლებში (ფინანსური იჯარის დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10-ში):

ჯგუფი წარმოადგეს თავდებს (სოლიდარულ მოვალეს) დაკავშირებული კომპანიის მიერ აღებული სესხებისა. ამ ურთიერთობის ფარგლებში ჯგუფს 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის დაგირავებული აქვს მის საკუთრებაში არსებული ელევატორი (მთლიანი ელევატორის ჯგუფი), რომლის დეტალები მოცემულია ზემოთ ცხრილში. სოლიდარული მოვალეობის ურთიერთობის დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 19 ში.

4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზია	სულ
ისტორიული ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	83	33	116
შემენა	-	5	5
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	83	38	121
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	83	38	121
ცვეთა:			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	48	8	56
პერიოდის ცვეთა	11	7	18
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	59	15	74
პერიოდის ცვეთა	11	7	18
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	70	22	92
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35	25	60
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24	23	47
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	16	29

შპს “ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. გაცემული სესხები

	31.12.2022	31.12.2021
გენერალური დირექტორის და დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	141	425
გენერალური დირექტორი და დამფუძნებელი	-	47
დამფუძნებელი იურიდიული პირი	73	104
სულ გაცემული სესხები	214	576

სესხები არის ლარში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთებია წლების მიხედვით არის შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021
გენერალური დირექტორი და დამფუძნებელი	-	4%
გენერალური დირექტორის და დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	6.5%;	6.5%; 9.5%
დამფუძნებელი იურიდიული პირი	13%	13%

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქცია	828	1,567
გასაყიდი და ამავე დროს წარმოებაში გამოსაყენებელი საქონელი	9,592	5,498
ჩანთები და ეტიკეტები დასრულებული პროდუქციისთვის	686	526
სხვა	436	202
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	11,542	7,793

2022 წლის 31 დეკემბრით სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოადგენს ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას. სესხებთან დაკავშირებული დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა 10

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,659	3,782
საექვო ვალების რეზერვი	(441)	(500)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	3,218	3,282

	2022	2021
გაუფასურების რეზერვის საწყისი ნაშთი	500	421
ზრდა მიმდინარე პერიოდისთვის	(43)	79
გამოყენება	(16)	-
31 დეკემბრის მიხედვით	441	500

8. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31.12.2022	31.12.2021
გადახდილი ავანსები	253	436
წინასწარ გადახდილი დივიდენდები	598	520
წინასწარ გადახდილი გადასახადები	366	75
სხვა მოთხოვნები	121	19
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	1,338	1,050

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში	4	33
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	271	206
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	430	27
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	705	266

10. ნასესხები საშუალებები

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხი		
გრძელვადიანი საბანკო სესხი	9,584	2,319
ფინანსური იჯარა	852	329
დამფუძნებლისგან აღებული სესხი	540	-
მოკლევადიანი სესხი		
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი და მოკლევადიანი საბანკო სესხი	9,029	9,513
ფინანსური იჯარა	329	133
დამფუძნებლისგან აღებული სესხი	-	620
გადასახდელი პროცენტი	154	29
სულ ნასესხები საშუალებები	20,488	12,943

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	31.12.2022	31.12.2021
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:		
1 წელში	9,512	10,295
1-5 წელში	10,976	2,648
სულ ნასესხები საშუალებები	20,488	12,943

სესხები წარდგენილია შემდეგ ვალუტაში:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ლარი	17,788	6,871
აშშ დოლარი	611	5,047
ევრო	2,089	1,025

შპს “ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ლარში		
სესხები კომერციული ბანკებიდან	11.5% - 12 % ზღვრებში , რეფინანსირებას + 1 % ; 12.5% - 13% ზღვრებში , რეფინანსირებას + 2 % , 13.5% - 14 % ზღვრებში , რეფინანსირებას + 3 %	9% - 11.5 % ზღვრებში, რეფინანსირებას + 1 % ; 11% - 13.5 % ზღვრებში , რეფინანსირებას + 3 %
აშშ დოლარში		
სესხები კომერციული ბანკებიდან	5.18% - 11 % ზღვრებში, 6 თვიან EURIBOR ის განაკვეთს + 5.84 %	6% - 6.2 % ზღვრებში , 6 თვიან LIBOR ის განაკვეთს + 5.84 %
სესხები დამფუძნებლისგან	9%	9%
ევრო		
სესხები კომერციული ბანკებიდან	5.5% - 7.9 % ზღვრებში, 6 თვიან EURIBOR ის განაკვეთს + 5.5 % , 5.5% - 7 % ზღვრებში, 6 თვიან EURIBOR ის განაკვეთს + 5.42 %	6 % , 6 თვიან EURIBOR ის განაკვეთს + 5.5 %

ჯგუფი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან და სოფლის განვითარების სააგენტოსგან იღებს სესხების და ფინანსური იჯარის პროცენტის თანადაფინანსებას „აწარმოე საქართველოში“ და „შეღავათიანი აგროკრედიტი“-ს პროექტების ფარგლებში. სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროცენტი შეადგენს 950 და 133 2022 და 2021 წლისათვის შესაბამისად.

ლიზინგთან დაკავშირებული ჯამური მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სრული ფინანსური დავალიანება-მინიმალური ლიზინგის გადასახდელები:		
1 წელში	532	204
1-5 წელში	1,088	393
სულ სრული ფინანსური დავალიანება-მინიმალური ლიზინგის გადასახდელები	1,620	597
ფინანსური ლიზინგის მომავალი პერიოდის ფინანსური ხარჯები	(439)	(135)
ფინანსური ვალდებულების დღევანდელი ღირებულება	1,181	462

ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებები

	მანქანა - დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	734	-	734
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	743	107	850
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,753	86	1,839

შპს “ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული ძირითადი საშუალებების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 3. გარდა ამისა სესხების უზრუნველყოფაში ჩადებულია ჯგუფის სასაქონლო მატერიალური მარაგები და მის მიერ სამომავლოდ შეძენილი მთელი მოძრავი ქონება.

საბანკო სესხებიდან გამომდინარე ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები

ბაზის ბანკთან არსებული სესხის, ნაკისრი სოლიდარული პასუხისმგებლობის და თავდებობის და თანამსესხებლობის ურთიერთობის ფარგლებში ჯგუფი ვალდებულია დაიცვას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება არამხოლოდ ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლებიდან გამომდინარე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი შესაბამისობაშია ამ მოთხოვნებთან.

11. გადავადებული შემოსავალი

	მიწა
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	956
პერიოდის შემოსავლად აღიარება	(27)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	929
პერიოდის შემოსავლად აღიარება	(27)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	902

2015 წელს ჯგუფმა სსიპ “სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან” მიიღო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული რკინიგზის ლიანდაგი 1 ლარის ნომინალური ღირებულებით. მიწის რეალური ღირებულება 1,179 ოდენობით ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ იქნა, როგორც გადავადებული შემოსავალი. “სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან” გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჯგუფს წარმოექმნა გარკვეული უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც სრულად შესრულდა 2018 წლის ივლისში. მიწის რეალური ღირებულება ანგარიშგებაში წარდგენილ იქნა, როგორც გადავადებული შემოსავალი და ყოველწლიურად, სისტემატიურ საფუძველზე ამორტიზდება პერიოდის მოგება-ზარალში მასზე არსებული შენობის ცვეთის პროპორციულად.

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	3,527	1,858
გადასახდელი ხელფასები	598	419
მიღებული ავანსები	107	342
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,232	2,619

13. შემოსავლები

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
ამონაგები მზა პროდუქციის გაყიდვიდან	83,999	53,455
ამონაგები მარაგების გაყიდვიდან	7,906	3,721
სულ შემოსავლები	91,905	57,176

შპს “ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. გაყიდვების თვითღირებულება

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
ნაყიდი და გაყიდული პროდუქტი	7,040	3,185
საკუთარი წარმოების გაყიდული პროდუქტები	69,579	45,438
სულ გაყიდვების თვითღირებულება	76,619	48,623

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
ნედლეულისა და მასალების ხარჯი	66,082	43,117
პირდაპირი შრომის ხარჯები	1,872	1,105
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	530	459
სხვა ხარჯები	1,095	757
სულ საკუთარი წარმოების გაყიდული პროდუქტები	69,579	45,438

15. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
ტრანსპორტირების ხარჯები	2,062	881
ხელფასის ხარჯი	723	497
საწყობის და მაღაზიის იჯარის ხარჯები	285	115
გაყიდვისა და რეკლამის ხარჯები	261	202
სხვა ხარჯები	23	121
სულ გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	3,354	1,816

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
ხელფასები	1,355	845
საკონსულტაციო ხარჯები	584	315
საგადასახადო და საპენსიო ხარჯები	443	320
საოფისე ხარჯები	364	354
საბანკო ხარჯი	331	183
ცვეთა და ამორტიზაცია	198	154
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	177	105
თანამშრომელთა კვების ხარჯები	176	101
შეკეთების ხარჯები	146	76
დაცვის ხარჯი	137	67
ტრანსპორტირების ხარჯი	85	69
საკომუნიკაციო ხარჯი	63	44
კომუნალური ხარჯები	55	27
დაზღვევა	50	37
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	79
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	324	136
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,488	2,912

17. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	47	39
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(1,227)	(825)
საპროცენტო ხარჯი იჯარაზე	(95)	(51)
მოგება საკურსო სხვაობიდან (ნეტო)	942	690
დისკონტირების ეფექტი	-	(49)
სულ ფინანსური ხარჯი (ნეტო)	(333)	(196)

ჯგუფი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან და სოფლის განვითარების სააგენტოსგან იღებს სესხების და ფინანსური იჯარის პროცენტის თანადაფინანსებას „აწარმოე საქართველოში“ და „შეღავათიანი აგროკრედიტი“-ს პროექტების ფარგლებში. სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროცენტი შეადგენს 950 და 133 2022 და 2021 წლისათვის შესაბამისად.

18. ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	4,133	4,091
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	24,015	14,801

19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

თავდებობა და გირავნობა დაკავშირებული მხარის საბანკო სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში.

ჯგუფი წარმოადგენს თავდებს (სოლიდარულ მოვალეს) და დამგირავებელს დაკავშირებული კომპანიის საბანკო სესხებზე. გენერალური ხელშეკრულებით კრედიტის ერთიანი ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს, არის 3 მილიონი აშშ დოლარი. გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში საბანკო კრედიტი მიღებული აქვს დაკავშირებულ კომპანიას. ქვემოთ მოცემულია ამ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში დაკავშირებული კომპანიის მიერ აღებული სესხების ჯამური ნაშთები:

	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხები	351	535

ამ სესხების ფარგლებში ჯგუფს დაგირავებული აქვს აქტივები. ამ აქტივებთან დაკავშირებული დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 3 - ში.

გარდა ამისა უზრუნველყოფილია ჯგუფის დედა კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის პირადი აქტივები.

ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, ჯგუფიდან არ მოხდება მომავალში ფულადი ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული კომპანია დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემული სესხის თანხებს ან მისი აქტივები საკმარისი იქნება ბანკის ვალდებულებების გასტუმრებისათვის. ამ მიზეზთა გამო წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები. ისე როგორც ასახულია ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების ამსახველ ახსნა-განმარტებით შენიშვნაში, კომპანიამ შეწყვიტა საქმიანობა 2023 წელს.

თანამსესხებლობა (სოლიდარული მოვალეობა) დამფუძნებლის საბანკო სესხის უზრუნველყოფის ფარგლებში.

2022 წლის 20 მაისს შპს ნუტრიმაქსის 33.3 % წილის მფლობელი გადხა შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგი. წილის შესყიდვის ოპერაცია დაფინანსდა სს ბაზის ბანკისგან აღებული სესხით. სესხის თანამსესხებლები არიან შპს ნუტრიმაქსი და შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგი. სესხის დაფარვის ვადა არის 2026 წლის 19 მაისი. ეს სესხი არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ სესხს ემსახურება შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგი და ამ სესხის მიმდინარე ნაშთი 31.12.2022 სთვის არის 1,415.

შპს “ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგი დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემული სესხის თანხებს და ჯგუფიდან მიღებული დივიდენდები ამისთვის საკმარისი იქნება, შესაბამისად ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, ჯგუფიდან არ მოხდება მომავალში სხვა სახით ფულადი ან ეკონომიკური სარგებლის გასვლა. ამ მიზეზთა გამო წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

ეს სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის აქტივებით, რომელთა დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 3 - ში და ასევე უზრუნველყოფაში ჩადებულია შპს ნუტრიმაქსის დამფუძნებლების შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგის, ბექა ბექიას და ხათუნა ლიპარტელიანის წილები შპს ნუტრიმაქსის საწესდებო კაპიტალში.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები და მათ შორის მენეჯმენტი	ერთ-ერთი დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	ერთ-ერთი დამფუძნებლის მნიშვნელოვანი მონაწილეობის მქონე კომპანია	სხვა მენეჯმენტი
მიღებული სესხები	540	-	-	-
გაცემული სესხები	73	141	-	-
გადახდილი დივიდენდები	598	-	-	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	247	-	-
საპროცენტო ხარჯი	55	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი	10	7	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	1,899	-	-	-
გაცემული დივიდენდი	1,978	-	-	-
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	863	-	-
აქტივების და მომსახურების შესყიდვა	9	-	2,250	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (გადასახდელი)	540	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	839	-	-	85

დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების ფარგლებში ჯგუფის მიერ, როგორც თავდების (სოლიდარული მოვალის) და დამგირავების მიერ ნაკისრი ვალდებულებების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 19.

შპს “ნუტრიმაქსი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები და მათ შორის მენეჯმენტი	ერთ-ერთი დამფუძნებლის საკუთრებაში არსებული კომპანია	ერთ-ერთი დამფუძნებლის მნიშვნელოვანი მონაწილეობის მქონე კომპანია	სხვა მენეჯმენტი
მიღებული სესხები	620	-	-	-
გაცემული სესხები	151	425	-	-
გადახდილი დივიდენდები	520	-	-	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	305	-	-
საპროცენტო ხარჯი	61	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი	11	8	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	1,170	-	-	-
გაცემული დივიდენდი	1,050	-	-	-
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	750	-	-
აქტივების და მომსახურების შესყიდვა	-	1	854	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (გადასახდელი)	298	-	-	4
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	525	-	-	67

დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების ფარგლებში ჯგუფის მიერ, როგორც თავდების (სოლიდარული მოვალის) და დამგირავების მიერ ნაკისრი ვალდებულებების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 19.

21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

დივიდენდი. 2023 წლის მარტში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე ჯგუფის მიერ გამოცხადდა დივიდენდი გასანაწილებლად 3,150 ოდენობით, რაც ნაწილობრივ გაცემულია.

გაცემული სესხი დამფუძნებელზე . გაცემულია სესხი შპს ნუტრიმაქსის დამფუძნებელზე შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგზე 492 ოდენობით.

კომპანიისა და ჯგუფის კონტროლი. 2023 წლის 22 მარტს შეიცვალა შპს ნუტრიმაქსის 33.3 % წილის მფლობელი შპს ნუტრიმაქს ჰოლდინგის დამფუძნებლების სტრუქტურა. ამ კომპანიის 100 % წილის მფლობელი გახდა შპს ნუტრიმაქსის 30.4% წილის მფლობელი ბატონი ბექა ბექაია. ოპერაციის შედაგად ბექა ბექაიამ მოიპოვა კონტროლი ჯგუფზე და კომპანიაზე.

მიღებული სესხები. შპს ნუტრიმაქსმა 2023 წლის თებერვალში სს ბაზის ბანკისგან აიღო მოკლევადიანი საკრედიტო ხაზი 3 მილიონი ლარის მოცულობით. შპს ნუტრიმაქს პეტფუდმა 2023 წლის მაისში სს ბაზის ბანკისგან აიღო 4 წლიანი სესხი 500 ათასი ლარის მოცულობით.

დაკავშირებული კომპანიის ოპერირების შეწყვეტა. როგორც მე-19 ახსნა-განმარტებით შენიშვნაში არის ნახსენები ჯგუფი წარმოადგენს თავდებს და მოგირავნეს დაკავშირებული მხარის საბანკო სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში. 2023 წელს მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე დაკავშირებული მხარის მენეჯმენტმა გადაწყვიტა შეეწყვიტა ოპერირება.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 4 აგვისტოს. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ნუტრიმაქსი“-ს

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. საქმიანობის განვითარების შედეგების და მდგომარეობის შესახებ

შპს ნუტრიმაქსი 2009 წლიდან ოპერირებს საქართველოს ბაზარზე და არის ლიდერი საქართველოში კომბინირებული საკვების, საკვები დანამატების და კვების ტექნოლოგიების მიწოდების კუთხით. ნუტრიმაქსი დაარსების დღიდან არის უმსხვილესი ჰოლანდიური კომპანია Trouw Nutrition-ის პარტნიორი, რომლისგანაც იღებს როგორც უმაღლესი ხარისხის საკვებ დანამატებს, ასევე, მუდმივად განახლებად თანამედროვე ცოდნას კვების ტექნოლოგიასა და ფერმის მენეჯმენტში.

კომპანია დაკომპლექტებულია კომპეტენტური და მზარდი ახალგაზრდა გუნდით, რომელთაც აქვთ ამბიციაც და შესაძლებლობებიც შექმნან ახალი ღირებულება როგორც საქართველოს ბაზარზე, ასევე რეგიონალური მასშტაბით. დღეისათვის კომპანია უკვე ახორციელებს ექსპორტს სომხეთსა და აზერბაიჯანში და აქტიურად მუშაობს ამ რეგიონში გაყიდვების ზრდაზე.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის აგვისტოში შპს „ნუტრიმაქს“-მა დააფუძნა ახალი კომპანია სახელწოდებით შპს „ნუტრიმაქს პეტფუდი“. რომელიც ორიენტირებულია საკვების წარმოებაზე შინაური ცხოველებისა და აკვაკულტურისათვის. ახალი საწარმო ექსპლოატაციაში შევიდა 2023 წლის გაზაფხულზე და უკვე აწარმოებს რამდენიმე დასახელების ძაღლის, კატისა და თევზის საკვებს.

2. საწარმოო სიმძლავრეები

2016 წლის სექტემბერში ნუტრიმაქსმა გახსნა ახალი, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი, ევროპული სტანდარტების საკვების დამამზადებელ ქარხანა, რომლის წარმადობა წელიწადში აღემატება 50 000 ტონას. საწარმო მუშაობს 24 საათიან რეჟიმში და 2022 წლის მდგომარეობით კომპანიის წარმადობა სრულად ათვისებულია. 2023 წლიდან ექსპლოატაციაში შევიდა ნუტრიმაქს პეტფუდის ახალი საწარმო რომლის საწარმოო სიმძლავრე შეადგენს დაახლოებით 24 000 ტონას წელიწადში.



ნუტრიმაქსში ფუნქციონირებს ევრო სტანდარტების თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც მუდმივად ამოწმებს როგორც ნედლეულის, ასევე მზა პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

2017 წლის ბოლოს კომპანიამ წარმატებით დაასრულა ISO:22000 სერტიფიცირების პროცესი, დანერგა ხარისხის კონტროლის თანამედროვე პროცედურები.

2022 წლის მდგომარეობით ნუტრიმაქსის სავაჭრო ბრუნვა შეადგენს 92.02 მილიონ ლარს, რაც წინა წელთან შედარებით 60.9%-ით მეტია.

3. ფილიალების საქმიანობა.

2022 წლის მდგომარეობით კომპანია ფლობს მხოლოდ ერთ საკუთარ ფილიალს ქალაქ გორში. გორის მაღაზია ერთგვარი რეგიონალური გაყიდვების წერტილია და საცალო გაყიდვების გარდა ახორციელებს საბითუმო გაყიდვებსაც და შიდა ქართლის რეგიონში დისტრიბუციის სერვისსაც სთავაზობს მომხმარებლებს. რეგიონებში გაყიდვებს უზრუნველყოფენ დილერები, რომლებიც მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტები და საქონლის გადაცემისას რისკი და სარგებელიც გადაეცემათ, ამასთან ვალდებულნი არიან მარკეტინგული პოლიტიკა შეათანხმონ ნუტრიმაქსთან.


4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები.

არა ფინანსური მაჩვენებლები:

1) მზა პროდუქციის წარმოების რაოდენობები (ათას ტონებში):

წელი	2022	2021	2020
ათასი ტონა	56,617	41,311	30,516


2) რაოდენობრივი გაყიდვების სტრუქტურა და დინამიკა.




3) ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ტენდენცია.

დინამიკა - შემოსავალი

■ ექსპორტი



4) 2022 წლის ექსპორტის წილი მცირედ გაზრდილია მთლიან ბრუნვაში 2021 წელთან შედარებით.



5. კვლევები და განვითარება.

2022 წლის განმავლობაში კომპანია ნუტრიმაქსი ძირითადად იკვლევდა კომპანიონი ცხოველების (ძაღვი, კატა) საკვების ბაზარსა და მომხმარებელთა ქცევას.

ასევე წარმადობის გაზრდისა და რობოტიზაცია/ავტომატიზაციის შესაძლებლობებს.

კომპანია პარალელურად ახორციელებდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს თანამდებროვე ფერმის მენეჯმენტის, ცხოველთა კვების ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის ფერმერებამდე მიტანისთვის.

6. შვილობილი კომპანია

2020 წელს კომპანია ნუტრიმაქსმა ჩაატარა კომპანიონი ცხოველების (მაღლი, კატა) საკვების ბაზრის კვლევა და გააანალიზა სექტორის პოტენციალი, შეფასდა პროექტის პერსპექტივები და დაიგეგმა სამომავლოდ პროექტის დანერგვა.

2021 წლის აგვისტოში შპს „ნუტრიმაქს“-მა დააფუძნა ახალი შვილობილი კომპანია სახელწოდებით შპს „ნუტრიმაქს პეტფუდი“. კომპანია მდებარეობს შემდეგ მისამართზე: გარდაბნის რაიონი, სოფ. გამარჯვება, საქართველო. კომპანიის დირექტორია ბექა ბექია.

ბაზის ბანკისა და პროექტის "აწარმოე საქართველოში" მხარდაჭერით 2021 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო საწარმოს მშენებლობა. მშენებლობა დასრულდა 2022 წლის ბოლოს. ხოლო პირველი გაყიდვები განხორციელდა 2023 წლის პირველ კვარტალში.

კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები ძირითადად არის:

- ექსპორტის ზრდა
- ადგილობრივი ბაზრის ათვისება. (მაღალი ხარისხის და ჯანსაღი საკვების წარმოება კომპანიონი ცხოველებისთვის)

კომპანია ყოველწლიურად აუმჯობესებს გარემოზე ზრუნვის პოლიტიკას. 2023 წელს იგეგმება მტვრის ასპირაციის სისტემის გაუმჯობესება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს მარცვლეულის მიღება/გაცემისას წარმოქმნილ მტვერს.

კომპანია იღებს საკონსულტაციო მომსახურებებს აუტოსტრას კომპანიებისგან, საინჟინრო, სამშენებლო საკითხებთან დაკავშირებით და აგრეთვე, კომპეტენტური და კვალიფიციური გუნდის დახმარებით, შეძლებს დაამზადოს მაღალი ხარისხის პროდუქცია კონკურენტუნარიანი ფასით.

7. საკუთარი აქციების შეძენა

2022 წელს კომპანია ნუტრიმაქსს არ განუხორციელებია აქციების შეძენა.

8. განვითარების გეგმები

კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები შეიძლება შემდეგ ძირითად მიმართულებებად წარმოვიდგინოთ:

- ექსპორტის ზრდა.

2022 წელს გაიზარდა ექსპორტიდან შემოსავლები, 2021 წელთან შედარებით. საექსპორტო ქვეყნებია სომხეთი და აზერბაიჯანი. ახალი საექსპორტო ბაზრების გამოწვევა ისევ რჩება 2023 წლისთვისაც.

- შინაური ცხოველების საკვების წარმოება და რეალიზაცია.

აქტიურად მიმდინარეობს ახალი ბრენდების დანერგვის სამუშაოები. ახალი პროდუქტების რეალიზაცია ხდება Winny, Simpo და Skippy ბრენდების ქვეშ. ხოლო თევზის საკვების წარმოება ხდება კორპორატიულ შეკვეთებზე დაყრდნობით.

9. დასაქმებულთა რაოდენობა

2022 წელის ბოლოსთვის დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 99 ადამიანს. ხოლო 2021 წლის საშუალო მაჩვენებელი იყო 65 ადამიანი. სეზონურად და საწარმოო დანადგარების დამატების პერიოდში მუდმივი შტატის გარდა კომპანია იმატებს დროებით თანამშრომლებს დაახლოებით 15-20 ადამიანს.

2022 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა ანაზღაურებადი სტაჟირებები ლაბორანტის, კვების ტექნოლოგის და ვეტერინარის პოზიციებზე.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

	რისკების და გაურკვევლობების ახსნა	მენეჯმენტის ქმედება
1	სავალუტო რისკი - კომპანიას აქვს საბანკო და სალიზინგო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარში. გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წმინდა მოგებაზე.	ვინაიდან კომპანიას აქვს შემოსავლები უცხოურ ვალუტაში, ახალი სესხების აღებისას მენეჯმენტი ცდილობს გაითვალისწინოს პარიტეტი ეროვნულ ვალუტასა და უცხოურ ვალუტაში არსებულ შემოსავლებს შორის და მსგავსად მიიღოს გადაწყვეტილება ვალუტასთან დაკავშირებით.
2	საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები	არსებობს დებიტორული დავალიანების მართვის პოლიტიკა, რომელის საშუალებითაც განისაზღვრება დებიტორული დავალიანების დასაშვები ლიმიტები და ხდება რეგულალური სისტემური კონტროლი.
3	ნედლეულის ფასები	ნედლეულის ფასების ხშირი მერყეობა ართულებს სტაბილური გასაყიდი ფასების უზრუნველყოფას, თუმცა მენეჯმენტი ცდილობს შეინარჩუნოს ფასების სტაბილურობა და შექმნას პროგნოზირებადი გარემო კლიენტებისთვის.
4	მარაგების გაუფასურებასთან დაკავშირებული რისკები	მარაგების ბრუნვადობის რეგულარული კონტროლითა და ინვენტარიზაციებით მინიმუმამდეა დაყვანილი გაუფასურების რისკები.

11. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჰქირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2023 წლის 4 აგვისტოს.

ბნ. ბექა ბექაია , დირექტორი

11. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2023 წლის 4 აგვისტოს.

ზნ. ბექა ბექაია , დირექტორი

